პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
კვირა
27 დეკემბერი
№ 297 (18239)
ფასი 2 კაპ.

ᲛᲖᲘᲣᲠᲘᲡ ᲛᲖᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ

წლეულს განსაკუთრებით კარგად არის მოვლილი გალის რაიონის მზიურის მეცტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის ბაღები. აქაურებმა ვალდებულება იკისრეს მოკრიფოთ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 3.000 ტონა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი. ერთი მეურნეობისათვის ეს ცოტა როდია. ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ აქ ამის ნახევარ მოსავალსაც ვერ იღებდნენ. მეურნეობის კოლექტივი განსაკუთრებით მას შემდეგ დაწინაურდა, რაც მას სათავეში ჩაუდგა სოფლის მეურნეობის გამოცდილი სპეციალისტი გივი ჭანტურია.

მეურნეობის სპეციალისტებმა, მეცტრუსეებმა წლეულს შემართებით იშრომეს, რათა ბუნების ჭირვეულობა დაეძლიათ და უხვი მოსავალი მოეწიათ. პლანტაციები განსაკუთრებით გვალვებმა შეაწუხა. იმის გამო, რომ მეურნეობაში სარწყავი სისტემა არა აქვთ, გვალვას მიწის მუღარებით და ორგანული სასუქების დამატებით შეტანით შეებრძოლენ. ახლა კი მზიურელები თავიანთი შრომის ნაყოფით ხარობენ, ჰექტარზე 7-8 ტონა ციტრუსს კრეფენ. მეურნეობაში ცხრა აგროგანყოფილება ყოველღღიურად 70-80 ტონა მაღალხარისხოვან ოქროსფერ ნაყოფს კრეფს. განსაკუთრებით უხვ მოსავალს იწვევენ მეცხრე, მეექვსე და მეოთხე აგროგანყოფილებები, რომლებსაც ამირან ქარდავა, იამზე ხუბუტია და ჯარგი მალანია უდგანან სათავეში. მეურნეობის 27 საწარმოო ბრიგადიდან ნაყოფიერი შრომით გამოირჩინეს თავი იფეხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ლერი ქვაცაციას, ლამარა გერგიას, ანატოლი შონიას ბრიგადებმა.

მოსავლის აღების ტემპი თანდათანობით ძლიერდება.

— თუ ამინდმა დაგვაცალა,— გვითხრა მეურნეობის დირექტორმა, — მოსავლის დაბინავებას ამ დღეებში მოვრჩებით. ამას რომ ამბობს მეურნეობის ხელმძღვანელი, უწყნარესად გამრჯე მკრეფავების ციალა ქათალანძის, ჯარა რეზესიძის, ნანული ყოლბაიას, ბაბუცა გოგოხიას, შურა შონიას და სხვათა იმედი აქვს.

კრეფა ერთია, მაგრამ არანაკლებ საშური და პასუხსაგები საქმეა მოსავლის დაბინავება-შეფუთვა და დანიშნულებისამებრ გაგზავნა. ამ მხრივაც მეურნეობა საეზოს კარგად მომზადებული შეხვდა. დროზე შეაკეთეს მიმღებ-შესაფუთავი პავილიონი, მოაასფალტეს და კეთილმოაწყვეს ტერიტორია, გამართეს დასახარისხებელი ხაზები, მთლიანად განახლდა ელექტროგაყვანილობა. პავილიონს ცალკე საწყობი მიუშენეს შედარებით მდარე ხარისხის ციტრუსის შესანახად, აქვე მოაწყვეს სპეციალური ტრანსპორტიორი, რომელსაც ეს პროდუქცია მექანიზებულად გადაატანს საწყობში, დროულად მოიმარაგეს პროდუქციის გასაგზავნი ყუთები და სხვა.

მეურნეობის ხელმძღვანელობამ საგულდაგულოდ იზრუნა მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად. პავილიონის გვერდით გამართეს კეთილმოწყობილი სასადილო, სადაც მეციტრუსეებს ცხელი კერძებით უმასპიზნლდებიან.

ციტრუსოვანთა მიმღებ-შესაფუთავი პავილიონი ამ დღეებში გამართულად და შეუფერხებლად რომ მუშაობს, აქაური მუშების — ყუთების დამამზადებლების მამანტი ქობალიას, პატეკო ქარდავას, მზია შონიას, ამბროსი დარბაიძის, ნაყოფის ჩამწყობების — ეთერ შამუგიას, გალინა პაციდაევას, ნაზო ბასარიას დაუღალავი შრომის შედეგია. პლანტაციიდან სათავეში. მეურნეობის 27 საწარმოო ბრიგადიდან ნაყოფიერი შრომით გამოირჩინეს თავი იფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ლერი ქვაცაციას, ლამარა გერგიას, ანატოლი შონიას ბრიგადებმა.

მოსავლის აღების ტემპი თანდათანობით ძლიერდება.

— თუ ამინდმა დაგვაცალა,— გვითხრა მეურნეობის დირექტორმა, — მოსავლის დაბინავებას ამ დღეებში მოვრჩებით. ამას რომ ამბობს მეურნეობის ხელმძღვანელი, უწყნარესად გამრჯე მკრეფავების ციალა ქათალანძის, ჯარა რეზესიძის, ნანული ყოლბაიას, ბაბუცა გოგოხიას, შურა შონიას და სხვათა იმედი აქვს.

კრეფა ერთია, მაგრამ არანაკლებ საშური და პასუხსაგები საქმეა მოსავლის დაბინავება-შეფუთვა და დანიშნულებისამებრ გაგზავნა. ამ მხრივაც მეურნეობა საეზოს კარგად მომზადებული შეხვდა. დროზე შეაკეთეს მიმღებ-შესაფუთავი პავილიონი, მოაასფალტეს და კეთილმოაწყვეს ტერიტორია, გამართეს დასახარისხებელი ხაზები, მთლიანად განახლდა ელექტროგაყვანილობა. პავილიონს ცალკე საწყობი მიუშენეს შედარებით მდარე ხარისხის ციტრუსის შესანახად, აქვე მოაწყვეს სპეციალური ტრანსპორტიორი, რომელსაც ეს პროდუქცია მექანიზებულად გადაატანს საწყობში, დროულად მოიმარაგეს პროდუქციის გასაგზავნი ყუთები და სხვა.

მეურნეობის ხელმძღვანელობამ საგულდაგულოდ იზრუნა მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად. პავილიონის გვერდით გამართეს კეთილმოწყობილი სასადილო, სადაც მეციტრუსეებს ცხელი კერძებით უმასპიზნლდებიან.

ციტრუსოვანთა მიმღებ-შესაფუთავი პავილიონი ამ დღეებში გამართულად და შეუფერხებლად რომ მუშაობს, აქაური მუშების — ყუთების დამამზადებლების მამანტი ქობალიას, პატეკო ქარდავას, მზია შონიას, ამბროსი დარბაიძის, ნაყოფის ჩამწყობების — ეთერ შამუგიას, გალინა პაციდაევას, ნაზო ბასარიას დაუღალავი შრომის შედეგია. პლანტაციიდან სათავეში. მეურნეობის 27 საწარმოო ბრიგადიდან ნაყოფიერი შრომით გამოირჩინეს თავი იფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ლერი ქვაცაციას, ლამარა გერგიას, ანატოლი შონიას ბრიგადებმა.

მოსავლის აღების ტემპი თანდათანობით ძლიერდება.

— თუ ამინდმა დაგვაცალა,— გვითხრა მეურნეობის დირექტორმა, — მოსავლის დაბინავებას ამ დღეებში მოვრჩებით. ამას რომ ამბობს მეურნეობის ხელმძღვანელი, უწყნარესად გამრჯე მკრეფავების ციალა ქათალანძის, ჯარა რეზესიძის, ნანული ყოლ-

ᲕᲘᲡᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘᲐ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ?

ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ უპასუხა საყურადღებო ფლო დასახლებული პუნქტების საუკეთესო განაშენიანებისა და კეთილმოწყობის სრულიად საკავშირო დათვალიერება-კონკურსმა. საუკეთესოდ ცნეს და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ჯილდოები გადასცეს ჩვენი ქვეყნის 312 დაბასა და სოფელს.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დიპლომები მიენიჭათ გორის რაიონის მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკისა და ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ცენტრალურ დაბებს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომებით აღინიშნა მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედისა და ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობების ცენტრალური კარმიდამები.

მეორე ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, ამავე რაიონის ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ცენტრალური კარმიდამები.

მესამე ხარისხის დიპლომი მიენიჭა სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ცენტრალურ კარმიდამოს.

დათვალიერება-კონკურსის ეტაპზე განსაკუთრებით აღინიშნა მთელი რიგი მხარეების, ოლქებისა და რესპუბლიკების ინიციატივიანი საქმიანობა სოფლად კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის გაშლის დარგში და დამპროექტებლებისა და მშენებლების, კერძოდ, საქართველოს, სსრ დამპროექტებლებისა და მშენებლების პროფესიული ოსტატობის ზრდა.

სოფლების საუკეთესო განაშენიანებისა და კეთილმოწყობის სრულიად საკავშირო დათვალიერება-კონკურსი გრძელდება. შედეგების მორიგი შეჯამება მოხდება 1986 წელს. (საქინფორმი).

ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ კოლმეურნეობების საკავშირო საბჭოს სხდომაზე განიხილეს კოლმეურნეობების საბჭოებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ამ პლენუმზე ანგარიშგაწევა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესაბამისად.

მომხსენებლემა — კოლმეურნეობების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. კ. მესიაცამ, სხვა ორატორებმა აღნიშნეს, რომ პარტია და მთავრობა დიდ ზრუნვას იჩენენ საკოლმეურნეო წარმოების განვითარებისათვის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველმხრივ გაძმტკიცებისათვის. სოფლის შრომელებმა გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სახელმწიფოსათვის მინდვრებისა და ფერმების პროდუქციის მიყიდვის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, მათ ღირსეული წვლილი შეაქვთ სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ამოცანა ის არის, რომ მეცადინეობა მოხმარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მოწინავე გამოცდილების დანერგვას, არსებული რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობაში სტაბილური შედეგის უზრუნველყოფისათვის.

კოლმეურნეობები მოწოდებული არიან დაასრულონ მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების დანერგვა კონკრეტული ნიადაგ-კლიმატური პირობების შესაბამისად.

კოლმეურნეობების საბჭოებმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უურადღება უნდა მიაპყრონ მეცხოველეობის ყოველმხრივ განვითარებას. პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლება შესაძლებელია მხოლოდ მტკიცე საკვები ბაზის საფუძველზე.

კოლმეურნეობების საკავშირო საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ვ. ა. კარლოვი. (საკავშირო კორ.).

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲛᲝᲚᲜᲘᲐ-1“

1981 ᲬᲚᲘᲡ 23 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს „კავშირის მორიგი თანამგზავრი „მოლნია-1“. კავშირის თანამგზავრი „მოლნია-1“ გათვალისწინებულია ორიენტირებული სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაციის, აგრეთვე უკიდურესი ჩრდილოეთის, ცაიმპირის, შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიის რაიონებში განლაგებულ „ორბიტის“ ქვეშის პუნქტებში სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადაცემის უზრუნველსაყოფად.

ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲡᲐᲛᲝᲛᲪᲓᲔᲚᲘᲐ

ეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა საქართველოს სოფლის მშრომელებისადმი მისალმებაში და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე დიდი ამოცანები დაუსახა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს. მან თქვა, რომ „1982 წლის გეგმა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც უნდა შესრულდეს“.

რა უნდა გაკეთდეს ამისათვის? — ამ კითხვას იქვე ლ. ი. ბრეჟნევმა შესანიშნავად უპასუხა: „ორგანიზებულად, ფაქიზად გამოვაზამთროთ პირუტყვი, ვადაზე და ხარისხიანად შესრულთ სამუშაოთა მთელი კომპლექსი 1982 წელს უხვი მოსავლის მოყვანისათვის“. ჩვენი სოფლის მშრომელებმა ეს დიდი ფენები გულთან ახლოს მიიტანეს და თავიანთი მუშაობის სამოქმედო პროგრამის შედგენას მთელი ხელოვნურობით და გულმოდგინეობით შეუდგნენ. ამაზე ნათლად მეტყველებს რესპუბლიკის ოლქკომთა გამოხმაურებანი, რომელთაც რედაქცია ყოველდღე ელოდება, და, რაც მთავარია, საქართველოს სოფლის მშრომელთა შეუნელებელი ყურადღება დიდი სახალხო საქმისადმი, ორგანიზებული შრომა, რომელიც ახლა გაჩაღებულია მინდვრებში, ბაღებში, პლანტაციებსა და ფერმებში.

ამთარში სოფლად სამუშაოთა ორგანიზებული წარმართვისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოაქვეყნა ორთვიური. ორთვიურის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ვენახების, ხეხილის, ციტრუსოვანთა ბაღების, ჩაის პლანტაციებში ზამთრის სამუშაოთა მთელი კომპლექსის შესრულებას. მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესდეს მწკრივთა ფრის ნიადაგის დამუშავებას, მცენარეთა ძირების შემობარვა-ფესვიერებას, ვაზის გასხვლასა და ფორმირებას, ბაღებსა და პლანტაციებში სიმეჩხრის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებას, ორგანულ-მინერალური სასუქების შეტანას, სადრენაჟო ქსელის სარწყავი ქსელების გაწმენდას, ნიადაგში ტენის დასაგროვებლად ფორის ხელსაყრელ ამინდებში რწყვას, საგაზაფხულო თესვისა-ფის მზადებას, ტექნიკის რემონტს და სხვა. ყველა ამ სამუშაოს ასრულება სოფლის მშრომელთა ჩვეულ თავდადებას, დიდ ენერგიასა და საქმის სიყვარულს მოითხოვს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე გამოითქვა რწმენა, რომ ჩვენი სოფლის მშრომელები კვლავაც ფაქიზენენ დიდ ენთუზიაზმს, გამოავლენენ ორგანიზებულობასა და ამ მზადყოფნას მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის უხვი მოსავლის მისაღებად. ამის თავდებია სოფლად გაჩაღებული ბალიზანი შრომა დეკემბრის — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს 60 დამკვრელური კვირა!“.

ოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებათა მისაღწევად ენერგიულად შრომობენ ნოიელწყაროს, გურჯაანის, გარდაბნის, გოგრეჯის, ზუგდიდის, ქობულეთისა და ლენინგორის რაიონების სოფლის მშრომელები. ნოიელწყაროელი და გურჯაანელი ოლეგებები და მემინდვრეები მიწის სამუშაოებს აგროწესების ბეგით ასრულებენ. ვენახებში მწკრივთაშორის ნიადაგის დამუშავება და ვაზის ძირების შემობარვა მთავრდება, წარმატებით ხორციელდება მცენარეთა დაცვის აგროქიმიური ღონისძიებანი. გარდაბნის რაიონში ბოსტნეულის აღების პარალელურად საფუძველსა ბრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს, წარმატებით აზამთრებენ ბოსტეულს. გორისა და ლენინგორის რაიონებში სათანადო ყურადღებას ექცევა ტექნიკის რემონტსა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებას. მახარაძის, ზუგდიდისა და ქობულეთის რაიონებში ციტრუსების კრეფასთან ერთად ჩაის პლანტაციებში შეთი სასუქები, აფხვიერებენ მიწას, აქ კარგად მიმდინარეობს ციტრუსოვანთა ნორმალური გამოზამრების სამუშაოები.

ამთარის ამ დღეებში გაჩაღებული საგულდაგულო შრომა იმის საფუძველი გარანტიას იძლევა, რომ ამ რაიონების სოფლის მშრომელები მომავალ წელსაც უხვ მოსავალს მოიწევენ და საპატიო ადგილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში სასურსათო პროგრამის განხორციელების დიდ საქმეში.

საქართველოს ბარის რაიონების სოფლებში ჯერჯერობით კარგი ბენდია. კარგი მეურნეები ხელსაყრელ ამინდს ეშურებიან, დღენიადაგ ზრუნავენ გამოზამთრებისათვის მზადებაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ვენახებისა და ციტრუსოვანთა ბაღების უინვისაგან დაცვას. ზვრებსა და ბაღებში უნდა მოვიმარაგოთ უინვის საწინააღმდეგო სამუალებანი, ციტრუსოვანთა კრეფა უმოკლეს დროში უნდა დამთავრდეს, რომ მოსალოდნელი უინვების დაწყებამდე შეიტანოს ლიმონისა და სხვა ციტრუსოვანთა ნარგავები. ყოველივე ამას ნიშნავს, რომ მოსალოდნელი უამინდობას ყოველმხრივ მზადებული უნდა შეეხვდეთ.

საქართველოს სასოფლო რაიკომების, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების სადღეისო ამოცანა ის არის, რომ მოსალოდნელ უინვებს მომზადებული შეეხვდეთ, რომ ამ მხრივ სუსხმა ვერაფერი დააკლოს ჩვენს ვენახებს, ხილისა და ციტრუსოვანთა ბაღებს. ამ საქმეში უკანასკნელი წლების მანძილზე ადგილი გამოცდილება დაგროვეს გურჯაანის, გორის, მახარაძის, ზუგდიდის რაიონებისა და აჭარის სოფლის მშრომელებმა. ისინი ბევრ ადგილზე მომზადებული არიან მოსალოდნელ უინვასთან საბრძოლველად. მაგრამ ზოგან (გალის, ოჩამჩირის რაიონები) ციტრუსოვანთა ბაღებიდან ფეხი გაეცალა, რამაც გადასწია მცენარეთა შეფუთვისა და ბაზარზე მიწის შემოსაყრელი სამუშაოები.

ეს კარგად არის ნათქვამი, ზამთარი მკაცრი გამომცდელია. ეს ბევრ ადგილზე მეცხოველეებზე ითქმის. იმ საზოგადოებრივ მეურნეობებში, სადაც დროულად და სამყოფად მოიმარაგეს სხვადასხვა ფერი უუათიანი საკვები, დაათბუნეს პირუტყვის სადგომი ბინები, ბინაკეთეს და ფერმებში მოაწესრიგეს სანიტარიული მდგომარეობა, ეს მეურნეობები ზამთარს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ. ამ დიდმნიშვნელოვან კამპანიას — პირუტყვის ნორმალურ ზამთრებას — ჯეროვანი უურადღება ვერ მიაქციეს თიანეთის, ზამთრების, ზუგდიდის, ნინოწმინდის, ოზურგეთის, ოლქების ზოგიერთ ადგილებში. ეს ოლქები ბევრ ადგილზე ბალახოვანი საკვები რომ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრების საწინდარია, ამას მტკიცება არ უნდა. ეს კარგ მეურნეს ბევრად მოეხსენება, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც თავის დროზე არ ზრუნავენ სამყოფი საკვების მოსამარაგებლად. სექტემბრის პირველ რიცხვებში „კომუნისტში“ გამოქვეყნებული კრიტიკული კორესპონდენცია „რატომ დალპა სენაჟი“, ეხებოდა ასეთ ფაქტებს ალბანეთის, ბაგრატიონის, ბაგრატიონ-ხევსურეთის, ბაგრატიონ-ფშავ-ხევსურეთის, ბაგრატიონ-ფშავ-ხევსურეთ-ბაგრატიონ-ფშავ-ხევსურეთ-ბაგრატიონ-ფშავ-ხევსურეთ-

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა

ახალი საბითუმო ფასების: პრობლემის არსი

1982 წლის 1იანვრიდან ძალაში შევა ახალი საბითუმო ფასები და ტარიფები. ამისათვის მზადება მთელ ქვეყანაში ორ წელიწადზე მეტი ხანს მიმდინარეობდა.

რით არის ეს გამოწვეული? მოქმედი საბითუმო ფასები და ტარიფები ათ წელიწადზე მეტი ხანია არ გადასინჯულა და ძირითადად მოძველდა. ამ ხნის მანძილზე ტექნიკურმა პროგრესმა არსებითი კორექტივები შეიტანა წარმოების დანახარჯებში: სახალხო მეურნეობის ზოგ დარგში ისინი გაიზარდა, ზოგში კი შემცირდა. ეს განსაკუთრებით შეეხო მრეწველობის სათბობ-ენერგეტიკულ და სანედლეულო დარგებს.

სულ უფრო რთულდება ნაკთობის, გაზის, ქვანახშირის, მადნეულის მოპოვების პროცესი. დანახარჯები იზრდება ქვეყნის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი რაიონების ათვისებასთან დაკავშირებითაც, სადაც გადაინაცვლა მრავალი სახეობის სათბობისა და ნედლეულის მოპოვების ცენტრმა. ეს დაკავშირებულია დამატებით კაპიტალდაბანდებებთან. გარდა ამისა იზრდება ხარჯები გარემოს დაცვისათვის, განხორციელდა ხელფასის მოწესრიგების დიდი ღონისძიებანი.

სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში დაჩქარებული ტექნიკური პროგრესის შედეგად მატდა მაღალი რენტაბელობა შეიქმნა. რაც უნდა უცნაური მოგვეჩვენოს, მან შეაფერხა საწარმოთა დაინტერესება მუშაობის გაუმჯობესებითა და თვითღირებულების შემცირებით. ყოველივე ამან დღის წესრიგში დააყენა სამრეწველო პროდუქციაზე მოქმედი საბითუმო ფასებისა და ტარიფების გადასინჯვის აუცილებლობა.

როგორც ცნობილია, საცალო ფასებისაგან განსხვავებით, რომლებითაც საქონელი მოსახლეობას მიეყიდება მაღაზიებში, საბითუმო ფასები განკუთვნილია საწარმოებს შორის, საწარმოებსა და სახელმწიფოს შორის ანგარიშსწორებისათვის, აგრეთვე წარმოების დაგეგმვისა და მოცულობის გაანგარიშებისათვის.

მეთერთმეტე ხუთწლიდის მთავარ ამოცანად პარტიის XXVI ყრილობამ დაგვისახა კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა იმის საფუძველზე, რომ მყარად, შეუნელებლად განვავითაროთ სახალხო მეურნეობა, დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ეკონომიკის გადაყვანა ინტენსიური განვითარების გზაზე, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ქვეყნის საწარმოო პოტენციალი, ყოველი ღონისძიებით დავზოგოთ ყველა სახეობის რესურსები და გავაუმჯობესოთ მუშაობის ხარისხი.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სახალხო მეურნეობის დარგებში **ფასწარმოქმნის სრულყოფამ,** რომელიც საგეგმო მართვის დიდმნიშვნელოვანმა ინსტრუმენტმა. ფასს მართვა რომ შეეძლოს, იგი რაც შეიძლება უკეთ უნდა გამოხატავდეს წარმოებაში საზოგადოებრივად საჭირო დანახარჯებს.

ახალი საბითუმო ფასების შემუშავებაში დიდია ჩვენი რესპუბლიკის ფასწარმოქმნის ორგანოების შრომის წილი. საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მნიშვნელოვანი მეთოდიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური მუშაობა გასწია. მან შეიმუშავა, დაამტკიცა, გამოსცა და 25 მილიონი მანეთით და მოგების შეცვლის ხარჯზე — 22,8 მილიონი მანეთით. ამასთან ბრუნვის გადასახადი შემცირდა 10,6 მილიონი მანეთით, ხოლო საცალო ფასებთან შედარებით საბითუმო ფასების გადიდებამ საბითუმო-გასაღების ჩამოკლების გამოკლებით ორი შილიონი მანეთი შეადგინა. ეს თანხა საწარმოეს მთლიანად აუნაზღაურდებათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მთელ სამრეწველო პროდუქციაზე ახალი საბითუმო ფასების დაწყებასთან ერთად განისაზღვრა აგრეთვე წმინდა **პროდუქციის ნორმატივები,** რომლებიც მოქმედებას დაიწყებს აგრეთვე 1982 წლის 1 იანვრიდან. ეს არის ახალი მაჩვენებელი, რომელიც ობიექტურად აფასებს ყოველი შრომითი კოლექტივის საქმიანობას. იგი გამოხატავს ცოცხალი შრომის საზოგადოებრივად საჭირო დანახარჯებს და გამოყენებული იქნება როგორც ძირითადი მაჩვენებელი წარმოების დაგეგმვის, შრომის ნაყოფიერებისა და ეფექტიანობის საგეგმო ფონდის განსაზღვრის დროს.

პროდუქციის წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაზე საბითუმო ფასების გაღლუნის გაძლიერებისათვის ფაროოვდება საწარმოო ტექნიკური დანიშნულების ახალი მაღალეფექტიანი პროდუქციის საბითუმო ფასების დანამატებისა და მოძველებული და დაბალხარისხოვანი პროდუქციის ფასების ჩამოკლების სისტემა. სამწუხაროდ, რესპუბლიკის მრეწველობა თითქმის არ იყენებს ამ ბერკეტს. დანამატებისა და ჩამოკლების მექანიზმი სრული სიმძლავრით რომ მუშაობდეს, საჭიროა სამრეწველო გაერთიანებებისა და საწარმოების მეცადინეობა.

რესპუბლიკაში მოქმედი იმ ფასების ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზმა, რომლებსაც წამახალისებელი დამატებები აქვს, ცხადყო, რომ მათ უზრუნველყვეს ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯების ანაზღაურება და რენტაბელობის უფრო მაღალ დონე. ამასთან უფრო მნიშვნელოვნად გაფართოვდა და განახლდა გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი.

გაუმჯობესებული ხარისხის ნაწარმს ძირითადად ამზადებენ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები.

სხვა სამინისტროები და უწყებები, აგრეთვე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები ჯერ კიდევ საკმარისი რაოდენობით არ ამზადებენ საქონელს, რომელიც მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილებით სარგებლობს.

ასეც ხდება ხოლმე: საქონელმა მიიღო წამახალისებელი დანამატი, ხოლო მასობრივ წარმოებაში იგი არსებითად განსხვავდება ნიმუში-ეტალონისაგან. ზოგიერთი უგერგილო ხელმძღვანელი ეწევა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების სტიმულირების ამ ეფექტიანი სისტემის დისკრედიტაციას. აქ ყველაზე მკაცრი სანქციებია საჭირო.

მზად არის თუ არა ყველა სამინისტრო, უწყება და საწარმო ახალი საბითუმო ფასების გამოყენებისათვის? ეს ფორმალური საკითხი როდია. თავის დროზე, რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებსა და დიდ საწარმოებს შესთავაზეს წარმოედგინათ განაცხადები საბითუმო ფასების ამ ახალი პრეისკურანტების საჭირო რაოდენობაზე, რათა ფასწარმოქმნის ორგანოებს ჰქონოდათ შესაძლებლობა დროულად გამოეცათ და დაეგზავნათ ისინი. მაგრამ არის მოუფიქრებელი და დაუსაბუთებელი განაცხადების შედგენას შემთხვევები. ამის გამო საჭირო გახდა დამატებითი ტირაჟის დაბეჭდვა, ეს კი, ახალ ხარჯებთან, დროის დაკარგვასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ და სახმომარაგებამაც კი წარმოადგინეს განაცხადები ყოველი დასახელების პრეისკურანტის 5-10 ეგზემპლარზე, ხოლო დამატებით განაცხადში ითხოვენ მათ ერთიანად გაზრდას. მშეენებლობის, სასოფლო მშენებლობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებს გაეგზავნათ ას-ასი ეგზემპლარი, მათ კი ახლა ორნახევარჯერ მეტი სჭირდებათ.

საბითუმო ფასების გადასინჯვა მიმდინარეობდა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის განახლებასთან ერთად. მაგრამ ყველა საწარმომ როდი იზრუნა ამისათვის. ზოგიერთი მათგანი განაგრძობს პროდუქციის გამომშვებას რესპუბლიკური სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და იმ სხვა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, რომელთა ● ვადა უკვე ამოწურა. ამასთან დაკავშირებით მინდა შეგახსენოთ: 1982 წლის პირველი იანვრიდან აკრძალულია მოძველებული დოკუმენტაციით პროდუქციის გამოშვება და შესაბამისად აკრძალულია მათი რეალიზაციაც.

მრეწველობაში საბითუმო ფასებისა და ტარიფების შეცვლასთან დაკავშირებით უნდა გადაფასდეს მთელი მატერიალურ-ტექნიკური ღირებულებანი. ამ გადაფასების დროულობასა და სიზუსტეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: ფონდუკუგება მეურნეობრიობის ახალი მეთოდით ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს საწარმოს ძირითადი და საბრუნავი ფონდის გამოყენების ეფექტიანობის დონეს.

საბითუმო ფასები უშუალოდ ეხება სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობას, და, უწინარეს ყოვლისა, სამეურნეო ანგარიშსწორებას, რენტაბელობას, ეკონომიკურ სტიმულირებას. ამიტომ ფასწარმოქმნის ორგანოები ახალი ფასების დაწესებისას საგულდაგულოდ ამოწმებენ პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციებს, რათა არ დაუშვან მატერიალური (ლითონი, სათბობი, ელექტროენერგია და სხვა) და შრომითი დანახარჯების ხარჯვის ნორმების ხელოვნური გადიდება, აგრეთვე აქ ყოველგვარი არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების ჩართვა.

რესპუბლიკის მთელ რიგ სამინისტროებში, უწყებებსა და საწარმოებში სუსტად ავლენენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების რეზერვებს, არ სწვდებიან ეკონომიკურად დასაბუთებული კალკულირების საკითხთა არსს. ამის შედეგად ფასწარმოქმნის ორგანოებს წარუდგენენ ფასების გაუმართლებლად გაზრდილ პროექტებს. მაგალითად, გორის საწარმოო გაერთიანებამ დაგეგმა ფასი სამლითონიანი წოფელი თიხის დოქზე 5 მანეთისა და 81 კაპიკის ოდენობით. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ ეს ფასი შეამცირა 3 მანეთამდე და 50 კაპიკამდე., ხოლო საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა — ორ მანეთამდე. ასეთი მაგალითი ბევრია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე ამხ. ე. ა. შევარდნაძემ თქვა: „სახალხო მოხმარების საქონლის დამამზადებელ მთელ რიგ დარგებში უკანასკნელ ხანს გაძლიერდა მისწრაფება მიაღწიონ რენტაბელობას მხოლოდ გასაყიდი ფასების გადიდების, და არა არამწარმოებლური ხარჯებისა და თვითღირებულების სხვა ელემენტების შემცირების გზით... ზოგჯერ უბრალო ხრახნს ან რაღაც დეტალს შეცვლიან და მაშინვე ცდილობენ მოუმატონ ფასი. ეს ცხადია, ყოვლად მცდარი გზაა, არასწორი პოლიტიკაა“.

რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, სამრეწველო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ დარჩენილი დრო ყველა გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრისათვის, მთლიანად იყვნენ მზად იმუშაონ მეურნეობრიობის ახალ პირობებში. რესპუბლიკის ფასწარმოქმნის ორგანოებს ევალებათ გააძლიერონ კონტროლი ფასებისადმი და არ დაუშვან სახალხო მოხმარების საქონლის მოქმედი სახელმწიფო საცალო ფასების გაზრდა.

მ. მეგრელიშვილი,
საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე (საქინფორმი).

დღესი, რიგი და ჩვენ

1. **ნარკოტიკული** სანშეულებანი სხვადასხვაგვარია და გამანადგურებლად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე, იწვევს მის სულიერ და ფიზიკურ დეგრადაციას, გონებრივ დაქვითებას, ზნეობრივ დაკნინებას, სქესობრივი ფუნქციის სრულ მოშლას...

ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, გასაღება, შეძენა და შენახვა საშში ქმედობაა. საქართველოს სისტლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ შხამიან ნივთიერებათა უკანონო დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვისა და გასაღებისათვის. ამ მუხლის პირველი ნაწილით, ის პირი, რომელიც ნარკოტიკულ ნივთიერებას დაამზადებს, შეიძენს, შეინახავს, გადაზიდავს ან გადაგზავნის გასაღების მიზნით, ისჯება ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

ზშირად სამკურნალო თუ სხვა დაწესებულებათა ის თანამშრომლები, რომელთაც ნარკოტიკულ ნივთიერებათა შენახვა და მოვლა-პატრონობა ევალებათ, დაუდევრობასა და გულგრილობას იჩენენ, რის გამოც ეს ნივთიერებები ნარკომანებისა და გამსაღებლების ხელში ხვდება.

მაგალითად, წლეულს სარჩერის რაიონის სამუალო სკოლებს გაუნაწილდათ 150 ცალი ინდივიდუალური აფთიაქი. თითოეულ მთგანში სხვა მედიკამენტებთან ერთად მოთავსებული იყო ტკივილგამაყუჩებელი ხსნარი. სარჩერის რაიონის განათლების განყოფილების გამგის მოადგილემ კ. ხოჯაშვილმა სოფელ კორბოულის საშუალო სკოლის დირექტორთან ერთად შეადგინა ასეთი აფთიაქების დახარჯვის ყალბი აქტი, ფაქტობრივად კი სამოქალაქო თავდაცვისათვის განკუთვნილი ასეთი აფთიაქები ნარკომან კ. კალმახელიძეს გადასცა, თანაც, აცნობა, რომ სხვა სკოლებშიც ინახებოდა მსგავსი პაკეტები.

სასამართლო პრაქტიკაში ზშირია მაგალითები, როდესაც სამართალში მიცემული (განსაკუთრებით ახალგაზრდები) აცხადებენ, არ ვიცოდით, თუ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის ისჯებიანო. ასეთებს

2. **ზროვისმოუვა რ ე** მახარაძელი მეციტრუსეები ყოველწლიურად ასობით ტონა ზეგეგმითს ლიმონს, მანდარინსა და ფორთოხალს აბარებენ სახელმწიფოს. ახლა საზოგადოებრივ თუ საკარმიდამო ბაღებში გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული ოქროსფერი ნაყოფის უდანაკარგოდ კრეფა-დამზადებისათვის.

მაგრამ თითო მახინჯი აქა-იქ მაინც გამოერევა ხოლმე, ისინი ორიოდე გროშისათვის ეშმაკსაც კი მიჰყიდიან სულს, არცხვენენ მშობლიურ სოფელს, რაიონს, რესპუბლიკას.

თამაზ პაროენაძე — არის ასეთი კაცი ანასეულის საცდელ-საწარმოო მეურნეობაში. ეს ორმოცე წელს მიღწეული ჯანღონით სავსე კაცი ორჯერ არის გასამართლებული სხვადასხვა დანაშაულისათვის, ამ ორიოდე წლის წინათ მოიხადა სასჯელი, და მაინც ვერ ისწავლა ჭკუა.

ამას წინათ გამოუსწორებელი ქურდი თ. პაროენაძე ანასეულის საცდელ-საწარმოო მეურნეობის ციტრუსების პლანტაციაში შეიპარა, დაკრიფა ჯერ კიდევ მწვანე ნაყოფით დახუნძლული 80 ძირი ხე და მისი კერძო ბაზარზე გატანა რომ დაეპირა, დროულად შეიპყრეს და ნაქურდალი ლიმონით სავსე ტომრები ჩამოართვეს.

ამ დღეებში ბერძნის წყაროს ტერიტორიაზე არსებულმა საგუშაგომ ნარუჯის საბჭოთა მეურნეობის მცხოვრები სერგო ტარიელაძე დაიკავა, რომელსაც სასპეკულიციოდ ყუთებში საგანგებოდ შეფუთული მანდარინი მიჰქონდა. ნირწამხდარი ჩარჩი ახლა პატიებას თხოულობს, მაგრამ გვიანდაა.

ნათქვამია, ერთი პირი წყალსაც დაეძინებაო. ასე ეგონათ სოფელ შრომის მცხოვრებ ვაჟა ქველაძეშვილს, მის მეგობრებს ელენე მუსგანიძეს და ირმა ყაველაშვილს, როცა ციტრუსებით სავსე ტომრები ლანჩხუთის ტრასაზე გავლით კერძო ბაზარზე გასაყიდად მიჰქონდათ. ეს რეისი მათთვის უიღბლო გამოდგა. ის-ის იყო იფიქრეს, სამშვიდობოს გბვედითო, რომ სწორედ ამ დროს ჩაუკეტეს გზა ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა — უფროსმა ავტოინსპექტორმა კ. ჩხაიძემ და სახაზო ინსპექტორმა თ. სივსივაძემ. ორი მათგანი დაიკავეს, ნაქურდალი ხილი კ. დამზადების კანტორას ჩააბარეს. რაც შეეხება რეისის მოთავეს ვ. ქველაშვილს, მან მიატოვა 505 კილოგრამი მანდარინი, ჩაჯდა საკუთარ „ჟიგულიში“ და მიიმალა.

ღამით ლანჩხუთის მილიციის მუშაკებმა დაიკავეს ხურმით საგულდაგულოდ დატვირთული მანქანა, რომელიც ეკუთვნოდა ქუთაისის სატრანსპორტო საგენტოს სამტრედიის ფილიალს. მძღოლს გ. ძოწენიძეს ლანჩხუთელი ვალიკო ბერაძე, მუხუთელები მერან და ზაური ფირცხალაშვილები შეუთანხმდნენ, რომ 2.300 კილოგრამი ხურმა რუსთავის ბაზარზე გადაეტანა, გასამჯელოსაც კარგს შეპირდნენ. მაგრამ გარიგება ჩაიშალა, საშოვარზე მიმავალთ ლანჩხუთის მილიციის მუშაკებმა ჩამოართვეს სარეალიზაციო ტვირთი და დამზადების პუნქტს ჩააბარეს.

გაკვირვებას იწვევს ის, რომ სოფელ მუხუთის სასოფლო საბჭო, რომელსაც ჯერ არ შეუსრულებია ხილის დამზადების სახელმწიფო გეგმა, არავითარ ზომებს არ იღებს ამ ვაჭრეულობის ასალაგმავად.

იოლი გზით ფულის შოვნითთავბრუდახვეული გულრიფშის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი სურენ კანსუზიანი შეუთანხმდა ელენე მუსგანიძეს და ირმა ყაველაშვილს, როცა ციტრუსებით სავსე ტომრები ლანჩხუთის ტრასაზე გავლით კერძო ბაზარზე გასაყიდად მიჰქონდათ. ეს რეისი მათთვის უიღბლო გამოდგა. ის-ის იყო იფიქრეს, სამშვიდობოს გბვედითო, რომ სწორედ ამ დროს ჩაუკეტეს გზა ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა — უფროსმა ავტოინსპექტორმა კ. ჩხაიძემ და სახაზო ინსპექტორმა თ. სივსივაძემ. ორი მათგანი დაიკავეს, ნაქურდალი ხილი კ. დამზადების კანტორას ჩააბარეს. რაც შეეხება რეისის მოთავეს ვ. ქველაშვილს, მან მიატოვა 505 კილოგრამი მანდარინი, ჩაჯდა საკუთარ „ჟიგულიში“ და მიიმალა.

ღამით ლანჩხუთის მილიციის მუშაკებმა დაიკავეს ხურმით საგულდაგულოდ დატვირთული მანქანა, რომელიც ეკუთვნოდა ქუთაისის სატრანსპორტო საგენტოს სამტრედიის ფილიალს. მძღოლს გ. ძოწენიძეს ლანჩხუთელი ვალიკო ბერაძე, მუხუთელები მერან და ზაური ფირცხალაშვილები შეუთანხმდნენ, რომ 2.300 კილოგრამი ხურმა რუსთავის ბაზარზე გადაეტანა, გასამჯელოსაც კარგს შეპირდნენ. მაგრამ გარიგება ჩაიშალა, საშოვარზე მიმავალთ ლანჩხუთის მილიციის მუშაკებმა ჩამოართვეს სარეალიზაციო ტვირთი და დამზადების პუნქტს ჩააბარეს.

გაკვირვებას იწვევს ის, რომ სოფელ მუხუთის სასოფლო საბჭო, რომელსაც ჯერ არ შეუსრულებია ხილის დამზადების სახელმწიფო გეგმა, არავითარ ზომებს არ იღებს ამ ვაჭრეულობის ასალაგმავად.

ოიღი გზით ფულის შოვნითთავბრუდახვეული გულრიფშის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი სურენ კანსუზიანი შეუთანხმდა დეკემბერ 252[5] მუხლით ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარების ბუნაგის მოწყობა ან შენახვა, ან ამ მიზნებისათვის სადგომის მიცემა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი კულტურების დათესვისა და მოყვანისათვის საბჭოთა კანონმდებლობა მკაცრად სჯის დამნაშავეს. აქვე საჭიროა განვმარტოთ, რომ დანაშაული დამთავრებულად ითვლება ასეთი მცენარის დათესვის მომენტიდან, მოიხედავად იმისა აღებულია მოსავალი თუ არა, და საქართველოს სისტლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლის პირველი ნაწილით ისჯება ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ხოლო მეორე ნაწილით, თუ იგივე ქმედობა ჩადენილია განმეორებით, ან იმ პირის მიერ, რომელიც წინათ იყო სამართალში მიცემული ნარკოტიკული და სხვა ძლიერმოქმედ შხამიან ნივთიერებათა უკანონო ხმარების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღებისათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან რვა წლამდე.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია აღმოფხვრილია ნარკომანიისა და სხვა დანაშაულობათა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები, მიუხედავად ამისა ზოგიერთი უნებისყოფო და უაზროდ მოდას აყოლილი ახალგაზრდა განაგრძობს მოლიპული გზით სიარულს.

ა. გუდაღაშვილი,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლიან პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი.

1. ასეთია ჯანრონის ქალა

2. შიდგლო რეისები

ლეკადის სიავე სიფარსაგე

მოძრაობის უსაფრთხოების ერთთვიურის შედეგებს „ომოფნიტა“ დროდადრო აქვეყნებდა. საბოლოო მონაცემებიც დაიბეჭდება. მაგრამ მდგომარეობის სერიოზულობის სრულსტრაციოდ დეკემბრის ერთი, რიგით მესამე კვირის სტატისტიკას გავაცნობთ მკითხველს.

საგზაო მოძრაობის წესების 17568 დარღვევა გამოავლინა სარეიდო ღონისძიებებმა. ე. ი. 2.510 — დღეღამეში ანუ 105-ზე მეტი — საათში და 1,7 — ყოველ წუთში. ამათგან 481 შემთხვევაში საქმეს უჯდა ნახევამი მძღოლი. რა უბედურებაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ დარღვევათა ეს რაოდენობა დადგენილია, ხოლო დაუდგენელი და აღუნუსხავი ერთი იმდენი მაინც უნდა ვიგულისხმოთ.

ალბათ, საჭირო და სასარგებლო გამოდგება ამ სტატისტიკის განხილა და განხილვა მაქანების მფლობელთა ოჯახებში.

ზამთარია, სპეციალიცია და ქურდობას სეზონის ნიშნები დაემჩნა.

სურაბელი ვიქტორ მინას ძე აჩეკაშვილი მოსკოვს გაემგზავრა სამოწყვლო ხაკონლის, მათ შორის გამოსახამორებელი ნივთების შესაძენად. ფონ ამისათვის საკმაო ● ექნებოდა, პარტიის წევრია და არსად კაცარ მუშაობს. მაგრამ აი, საშუალება ხაიდან ჰქონდა 7.380 მანეთისა ევაჭრა, ამას დადგენა სჭირდება!

21 დეკემბერს ხამტრედიის სადგურში დაკავეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიის ბაბეოთა მეურნეობის მუშა მთვარისა უმარის ასული ქუხილავა, რომელსაც ერევნიდან გადასაყიდად მოჰქონდა ექვსი ელექტროლუმელი.

ქალის ცხრა ლაბადა აღმოაჩნდა თბილისელ გია ბიჭიკოს ძე ბერბიჭაშვილს, კოტაკავშირელს, ლაბორანტს. რიდის მოსაწერო ამ 17 წლის ახალგაზრდა ქაცში ვაჭრუკანული სულის დაბუდებამ?

ოთხი წლით მასზე უფროსია (ცხაკაიაა ხასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლე ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ბურაკოლავა, რომელმაც ქალის პალტო მოიპარა, გალელმა უსაქმურმა მურთაზ ირიდიონის ძე ჯახაიამ — ტყაპუეი.

უფრო მასშტაბური ქურდობა, ამჯერად ხახელმწიფო ქონებისა, დაადგინა ხამტრედიის მილიციამ (აღსანიშნავია ამ განყოფილების ბოლო პერიოდის აქტიურობა) — ბერსონიდან გამოგზავნილი რკინიგზის ერთ-ერთი დაულუქავი ვაგონის საკმისიო შემოწმებისას აღმოჩნდა ხამი ქურქის და 45 ბეწვის ქუდის დანაკლისი.

ბათუმის პროკურატურამ შინაგან საქმეთა ხაქალაქო განყოფილების მასალების მიხედვით სისტლის სამართლის საქმე აღძრა აჭარის ასსრ ჯანმრთელობის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნოდარ ბუხეიანის ძე ფუტკარაძის მიმართ, რომელმაც პენსიონერ გაბრიელ ხოლომონის ძე კვაჭაძეს 1500 მანეთი ქრთამი გამოართვა შვილის ავთანდილ კვაჭაძის სისხლის სამართლის საქმეთა მოსაგვარებლად.

ამ დეკადაშიც ირღვეოდა ხაბჭოთა ვაჭრობის წესები. მყიდველთა მოტყუების რამდენიმე ფაქტიდან ყურადღება მიიქცია ონის რაიონის სოფელ უაშქვის შერეული მაღაზიის გამგე-გამყიდველმა ხამსონ გიორგის ძე ბენდინაშვილმა, ჯერ იმით, რომ მომხმარებელს 28 მანეთი და 60 კაპიკი დააკლო, უფრო კი იმით, რომ კაცი ონში მსახურობს და თბილისში ცხოვრობს (დაგიზუსტებთ: ყინვალის ქ. 28-ში).

ვაჭ, სოფელო, სადაურსა სდწაიყვან ხანდახან საგლახაოდ!..

პარტიის საიმედო დასაყრდენი მასებში

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის—„საბჭოთა პროფკავშირები განვითარებული სოციალიზმის პირობებში“—გამოსვლის გამო

ისტორიული განვითარების კანონზომიერება ასეთია: რაც უფრო ღრმაა გარდაქმნები საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ, სულიერ ცხოვრებაში, მით უფრო ფართო მასები მონაწილეობენ მასში, მით უფრო, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, „უნდა გავაძლიეროთ მისადმი ინტერესი და შეგნებული დამოკიდებულება, დავარწმუნოთ ამ აუცილებლობაში ახალ-ახალი მილიონები და ათეული მილიონები“ (სხტ. ტ. 31, გვ. 612). შინაარსით უაღრესად ღრმა გარდაქმნები ხდება განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, როცა მთავრდება საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნა ახალი წყობილებისათვის შინაგანად დამახასიათებელ კოლექტიურ საწყისებზე, და ამიტომ კიდევ უფრო ფუნდამენტურად შეგნებულ ისტორიულ შემოქმედებაში მონაწილე მასების აქტიურობის, ინიციატივის, ენერგიის როლი.

მასებში პარტიის საიმედო დასაყრდენი, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, კომუნიზმის შენებლობაში მშრომელთა ჩაბმის მძლავრი საშუალებაა საბჭოთა პროფკავშირები. პროფკავშირები მუდამ არიან ახალი ცხოვრების შემოქმედების აქტიური მონაწილენი. განვითარებული სოციალიზმის პირობებში ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. პროფკავშირები, რომლებიც ახლა მოიცავენ პრაქტიკულად ყველა მშრომელს, მათ შორის კოლმეურნეებსაც.

ამიტომ ქვეყნის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ის, რომ გამოვიდა წიგნის — „საბჭოთა პროფკავშირები განვითარებული სოციალიზმის პირობებში“ — მეორე გამოცემა. 1964 წლის ნოემბრიდან 1981 წლის თებერვლის ჩათვლით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის აქ შეკრებილ მოხსენებებში, სტატიებში, გამოსვლებში კიდევ უფრო განვითარებულია ლენინური მოძღვრება პროფკავშირების შესახებ, შემუშავებულია თანამედროვე ეტაპზე მათი საქმიანობის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული ამოცანები.

□ □

ისტორიულმა გაშოკდილებამ უცილობლად დაადასტურა მარქსისტულ-ლენინური დასკვნა იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა ახალი ტიპის პარტია, კომუნისტთა პარტია. მხოლოდ მას შეუძლია გაიაზროს მასები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საბრძოლველად, სათავეში ჩაუდგეს და წარმართოს ახალი საზოგადოების მშენებლობა, გააერთიანოს მშრომელი ადამიანის ყოველდღიური ინტერესები სოციალურ გარდაქმნათა საბოლოო მიზნებთან.

პარტიის ეს გამაერთიანებელი, ხელმძღვანელი როლი დიდი ძალით გამოვლინდა სოციალიზმისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე. ჩვენი ქვეყნის ისტორიამ ცხადყო „პროფკავშირთა დამოუკიდებლობის“ კოსეფციების აბსურდულობა, ანარქოსინდიკალიზმის უდღეურობა, რომელიც ცდილობს პროფესიული გაერთიანებანი წარმოგვიდგინოს საზოგადოების წამყვან ძალად, ამით შეცვალოს სახელმწიფო, მიანიჭოს მათ პოლიტიკური პარტიის ფუნქციები. სოციალიზმისათვის ბრძოლის პრაქტიკამ გადაჭრით უკუაგდო აგრეთვე ტროცკისტული იდეა პროფკავშირთა „გასახელმწიფოებრიობის“ შესახებ. „დიდი კმაყოფილებით შეგვიძლია ვთქვათ, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, როცა ისტორიის გაკვეთილები გააანალიზა, — რომ ჩვენი ქვეყნის პროფკავშირები არსებობის პირველი დღეებიდანვე პარტიასთან ერთად არიან“ (გვ. 275 (რუს).

რით განისაზღვრება სოციალისტურ საზოგადოებაში პარტიისა და პროფკავშირების ურთიერთობა? განვითარებული სოციალიზმის პირობებში პარტიული ხელმძღვანელობის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოს საზოგადოებრივი ორგანიზმის ყველა შემადგენელი ნაწილის მიზანდასახული, შეწონასწორებული განვითარება.

პროფკავშირები, კომკავშირი, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები გამოხატავენ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მრავალფეროვან სპეციფიკურ ინტერესებს. პარტია, რომელიც პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი გაჯტიურების სარბიელს აძლევს საბჭოთა ადამიანებს, მათს წარმომადგენლებსა და ორგანიზაციებს, მათ ინტერესებს უკავშირებს და უთანხმებს საზოგადოების ინტერესებს, ზრუნავს, რომ ყოველდღიურ საქმეთაგან მომდინარე ყველა წყარო ჰარმონიულად ერწყმოდეს ერთიან ნაკადს.

სწორედ პარტიის ხელმძღვანელობით პროფკავშირები ყველაზე სრულად და ფართოდ ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, შესაძლებლობებსა და უფლებებს, რომლებიც მათ კონსტიტუციამ მიანიჭა. პარტიას პრინციპულად მნიშვნელოვნად მიაჩნია, აღნიშნულია წიგნში, რომ ყველა მასობრივი ორგანიზაცია თავისი უფლებებისა და ფუნქციების ფარგლებში მოქმედებდეს გაბედულად და მტკიცედ (იხ. ფ. 33).

პროფკავშირებისადმი ხელმძღვანელობას პარტია ახორციელებს უწინარეს ყოვლისა თავისი წევრების მეშვეობით. იგი „პროფკავშირში გაერთიანებული თითოეული კომუნისტისაგან მოითხოვს მის არა ფორმალურ წევრობას ამ ორგანიზაციაში, არამედ აქტიურ მონაწილეობას მთელ მის საქმიანობაში“, — აღნიშნავს კრებულის ავტორი (გვ. 91). პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც არ უშვებენ წვრილმან მეურვეობას პროფკავშირული კომიტეტებისადმი, მოვალენი არიან ყოველნაირად უწყობდნენ ხელს მათი ინიციატივის განვითარებას, აძლიერებდნენ ყურადღებას კადრების შერჩევისა და აღზრდისადმი.

სწორედ პროფკავშირებში მიმუშ

საკავშირო
დღიური
ჟურნალი
საქართველო

...საკლესისა და ...ახალი ამბების ...საკავშირო ...კორესპონდენტები ...გვეტყობინებენ

26 დეკემბერი

...ხეში ზემოქმედება

...ვინგტონი. ამერიკის შეერ...ული შტატების ადმინისტრა...ობენ ზემოქმედებას ახდენს ...ელი ევროპის ქვეყნებზე და ...ობს თავისი ნატოელი პარ...ორები ჩაითრიოს ანტიპოლო...ანტისაბჭოთა ისტერიაში, ...ესაც ოფიციალური ვაშინგ...ი აღვივებს ქვეყანაში კანონ...ების დაცვისა და საზოგადო...ი წესრიგის აღდგენისათვის ...ონეთის სახალხო რესპუბლი...ახელმწიფო საბჭოს ღონის...ებთან დაკავშირებით.

...ორად ამ მიზნით თეთრმა სა...ს ნატოს მთელ რიგ წევრ ქვე...ს სამოგზაუროდ სასწრაფოდ ...ავა ამერიკის შეერთებული ...ტების სახელმწიფო მდივნის ...ეშენ ევროპის საქმეებში ლ. ...ბერგერი. იგლბერგერი უხე...ამბინჯებს პოლონეთის სა...ო რესპუბლიკის ნამდვილ ...ომარეობას და მოითხოვს ამ ...ნების მთავრობებისაგან გამ...ონან ეკონომიკური „სანქციე...პოლონეთის სახალხო რეს...ოიკის წინააღმდეგ, მათ შორის ...ეყვანილ სურსსთის მიწოდება. ...ოიკის შეერთებული შტატების ...ნისტრაცია, რომელიც ისწ...ეს დასავლეთ ევროპის სა...

...ავრცელებენ ...ვილისწამებას

...კავშირის ვაშინგტონის ...საელჩოს განცხადება

...ვინგტონი. ტელეკომპანია ...ის მიერ შეთითხნილ ნა...ებევთან დაკავშირებით, რომ...ავტორები ამბად ცდილობ...ენ დეპეტაცებებისთ, თითქოს ...ერთ-აღმოსავლეთ აზიის ქვე...ნებთან „საბჭოთა ...წარმოების“ ქიმიური ნივთი...ებს იყენებდნენ, რომელიც ...ავად ისახავს ანტისაბჭოური ...ოზის გაძლიერებას, ვაშინგ...ის ახლანდელი ადმინისტრა...რომ აღვივებს, სსრ კავშირის ...ინგტონის საელჩომ გამოაქვე...განცხადება პრესისათვის.

...ორად აღვნიშნავს, რომ ...ნიშნავს საბჭოთა მთავრობას, ...ირი ბრალდებები და ინსინუა...ები ამსოლუტურად დაუსაბუ...ელია და არაფერი აქვს საე...ო ფაქტებთან, ნათქვამია განც...ებაში.

...ინ-ბისის ფილმმა, რომელიც ...ორად ამგვარი ყველა წინა...ომი უხეშად შეკოწიწებულ მო...ებას ემყარება, ვერაფერი და...ტურა გარდა იმ ფაქტისა, ...ორკვეული ბრმა ინტიმსაბჭოე...ა ამძრავებთ, მზადაა...ი ...ამ იისრონ საბჭოთა ...ერის შესახებ ცილისწამები...ა სიცრუეს გავრცელებ...ით.

საფრანგეთი

კორსიკას— ...ინსაკუთრებული სტატუსი

...ARIZIO. საფრანგეთის მინისტ...ა სბჭომ განიხილა და წინას...ი მიიწონა კორსიკის განსაკუ...ებული სტატუსის პროექტი.

...ფრანგეთის ამ დეპარტამენტ...ბავარაუდევია რეგიონალური ...ების (ადგილობრივი პარლამენ...ის) შექმნა, რომლის არჩევნე...ი მომავალი წლის ივნისში ...წყობა. შეიქმნება ადგილთან ...ი საკონსულტაციო ორგანო — ...ნომიკური და სოციალური ...ქუები. რეგიონალური კრება ...ონომიური იქნება საფრანგე...ს მთავრობისა და პარლამენ...აგან ადგილობრივი მნიშვნე...ების ისეთი საკითხების გადა...ეტაში, როგორიც არის მრე...ლობის, სოფლის მეურნეობის, ...ფრასტრუქტურის განვითარება ...სხვა.

ფოტოფაქტი

ინდიელთა დასაცავად

ამერიკის შეერთებული შტატების მკვიდრნი — ინდიელები წინანდებურად ამერიკის საზოგადოების ბიზნები არიან. მათი ხვედრია სიღატაკე და სასტიკი დისკრიმინაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ამჟამად 650 ათასამდე ინდიელი რეზერვაციებში, ხოლო 350 ათასი—დიდი ქალაქების ეგრეთწოდებული „წითელ გეტოებში“ ცხოვრობს

სურათზე: „ამერიკელ ინდიელთა მოძრაობის“ ლიდერი რ. მენნი გამოდის თავისი ხალხის დასაცავად.

საკლესის ფოტო.

საერთაშორისო
ლიტერატურული
ჟურნალი

ეს იყო ნამდვილი ტრიუმფი

უკანასკნელ წლებში ქართული კულტურა უფრო ფართოდ გავიდა საერთაშორისო სარბიელზე და სათანადო აღიარებაც პოვა. დღეს საბჭოთა საქართველოს, მის ხელოვნებას უცხოეთის ბევრ ქვეყანაში მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავს. ამ მხრივ ღირსშესანიშნავი იყო საქართველოს კულტურის დღეები პორტუგალიაში, რომელიც საბჭოთა კავშირთან მეგობრობის ადგილობრივი ასოციაციის ინიციატივით მოეწყო.

ჩვენი რესპუბლიკის „სავიზიტო ბარათი“ კულტურის დღეებისთვის საგანგებოდ შემუშავებული მრავალფეროვანი პროგრამით გამოირჩეოდა. საქართველოს სიმდიდრისა და სილამაზის ამსახველმა საუცხო ფერადმა ფოტოგამოფენამ, ქართულ ტრადიციებზე აღმოცენებული გამოყენებითი ხელოვნების შესანიშნავმა ექსპოზიციამ, ანსამბლ „ბორდას“ ცეცხლოვანმა ცეკვებმა, „ცისფერი ტრიოს“ ტკბილმა, მადლიანმა სიმღერებმა და წკრიალა ქართულმა სალამურმა, მნიშვნელოვად განაპირობა ის დიდი ინტერესი, რომელსაც პორტუგალიელები იჩენდნენ საბჭოთა ხალხის ყოველდღიური ცხოვრებისა და საერთოდ ჩვენი ქვეყნის მიმართ.

პირველი კონცერტი ლისაბონიდან საკმაოდ მოშორებულ, ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ ფაროში გაიმართა. გასაგებია, რაოდენ ბევრი იყო დამოკიდებული პორტუგალიელ მაყურებელთან პირველ შეხვედრაზე. უცნობი გარემო, შეუჩვეველი სცენა, ხალხით გაჭედილი დარბაზის პირველი გაცნობა ქართულ ხელოვნებასთან — ყველაფერი ეს ბევრი სირთულის წინაშე აყენებდა ჩვენს მსახიობებს. საუბედოდ რომ ვთქვათ, ყველანი ძალიან ვღელავდით, მაგრამ როგორც კი წითელ ჩოხებში გამოწყობილი მოციკვავეები ჩვეული ტემპერამენტით შემოიჭრნენ სცენაზე, ტაშმა იგრიალა. დარბაზის კეთილმა განწყობილებამ ყოველგვარი დაძაბულობა მოხსნა ბიჭებს. ნომერი ნომრის ცვლდა. დარბაზის აღტაცების კულმინაციამ „ხევსურული სიუიტის“ დროს მიაღწია. ქართული ცეკვით, „ცისფერი ტრიოს“ მელოდიური სიმღერებით აღფრთოვანებული პორტუგალიელები ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ ჩვენს პირველ გამოსვლას. წარმატებამ პოლოდნს გადააჭარბა. კონცერტის დამთავრებისთანავე მაყურებელმა მისთვის შორეულ ხალხთან დაახლოება ისურვა და დიდი ნაწილი დარბაზიდან სცენაზე ამოვიდა. გვიხოვეს გვეამბნა იმ ქვეყნის შესახებ, სადაც ასეთი შესახიბლავი ცეკვა და სიმღერა იციან. საუბრის შემდეგ ისევ ცეკვები და სიმღერები გაიმართა, მაყურებელთა დაფინებული მოთხოვნით რამდენიმე ნომერი გვიმეორეთ.

„გორდამ“ და „ცისფერმა ტრიომ“ პორტუგალიის 11 ქალაქში 13 კონცერტი გამართეს და თითქმის ყოველი საღამო პორტუგალია-სსრ კავშირის მეგობრობის ასოციაციის ადგილობრივი განყოფილების აქტივისტებთან შეხვედრებით მთავრდებოდა. კესაობრებოდით ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის დარგში ჩვენი ქვეყნის მიღწევებზე, საბჭოთა ხალხის სამშვიდობო განწყობილებაზე, პორტუგალიელ ხალხთან მეგობრობის დიდ სურვილზე. ვამჩნევდით, რომ ეს ინფორმაცია ადრე თავსმოხვეულ აზრს უპირისპირდებოდა და ამაზაც ვგრძნობდით, რომ დადებით ზეგავლენას ახდენდა.

მეტად საინტერესო გამოდგა შეხვედრა სამრეწველო ქალაქ სეტუბალში. როდესაც ჩვენი ავტობუსი საკონცერტო დარბაზს მიუახლოვდა, ადგილობრივმა ახალგაზრდებმა ნამდვილი საზეიმო ფოიერვერკი გამართეს. უამრავმა ფერადმა შუშხუნამ ნათელი მოფინა საბჭოთა ადამიანებთან შეხვედრით დაინტერესებულ პორტუგალიელთა სახეებს. ასეთივე ბრწყინვალებით ჩატარდა მთელი საღამო, რომელსაც უამრავი მაყურებელი დაესწრო.

განსაკუთრებული გულმხურვალებით შეხვდა დარბაზი დელეგაციის წევრს გივი გაჩეჩილაძეს. ის ფაქტი, რომ ჩვენს რესპუბლიკას უცხოეთში მუშა-კაცი წარმოადგენდა, რომლის კეთილსინდისიერი შრომა სახელმწიფო პრემიითა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ოთხგზის არჩევით იყო დაფასებული, პორტუგალიელი მუშებისათვის ახალი აღმოჩენა იყო. გივი სცენაზე აიწევის და ხანგრძლივი მჭუხარე ტაშით აღნიშნეს ჩვენი წყობილების მათთვის უცნობი ეს უპირატესობა. ქართული სიმღერითა და ცეკვით დამშვენებული ეს საღამო ოქტომბრის რევოლუციის მრავალმხრივი მონაპოვრის მკაფიო დემონსტრაციად იქცა. პორტუგალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენლებმა დიდი მადლობა გადაგვიხადეს და რწმენა გამოთქვეს, რომ ასეთი შეხვედრები დიდ როლს შეასრულებენ ორი ქვეყნის ხალხთა შემდგომ დაახლოებაში, ხელს შეუწყობენ მსოფლიოს ხალხების დარაზმვას მშვიდობის დროშის ქვეშ.

ასეთი აქცენტი პორტუგალიაში საქართველოს კულტურის დღეების მთელი მიმდინარეობის დამახასიათებელ ნიშან-თვისებად იქცა. საბჭოთა საელჩოს მუშაკებმა ჩვენთან საუბრისას ამ ღონისძიების ქვეყნის ახლანდელი პოლიტიკური ცხოვრების ფონზე მნიშვნელოვანი მოვლენა უწოდეს. ეს კი რამდენიმე ყურადსაღები მომენტით გამოიხატა. მეგობრობის მისიით მივლინებული ჩვენი დელეგაცია მიიღო პორტუგალიის ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტმა ოლივეირა დიაშმა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მადეირის კუნძულზე, სადაც პოლიტიკურ კურსს მემარჯვენე წრეები განსაზღვრავენ, პორტუგალიასთან ჩვენი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებიდან მოყოლებული, ეს პირველი ოფიციალური საბჭოთა დელეგაცია იყო საერთოდ. საბჭოთა ქვეყნის დღევანდელი ყოფისადმი, ჩვენი კულტურისადმი პორტუგალიელი ხალხის დიდმა ინტერესმა ადგილობრივი პრესის საკმაო ყურადღება მიიპყრო. მიუხედავად იმისა, რომ აქ ტელევიზია მეძარკვენების ხელშია, ჩვენი კულტურის დღეებს რამდენიმე გადაცემა მიეძღვნა და სწორედ მეგობრობას აქციისადმი ეს „დაიმობა“ იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება.

პორტუგალიელთა ასეთი დამოკიდებულება და ინტერესი ჩვენი კუთხისადმი მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის ანსამბლ „გორდას“ (ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ. სვანიძე) და „ცისფერი ტრიოს“ (ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი თ. სეფერთელაძე) მაღალმა პროფესიონალიზმმა. უამრავი მაყურებელი ჰყავდა ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენას (ექსპოზიცია მოამზადა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. ყიფიანმა).

ხხვათა შორის, მადეირის კუნძულის დედაქალაქ ფუნშალის თეატრის სცენა განებივრებულია სახელოვანი გასტროლიორებით, და რარიგად სასიამოვნო იყო იმის შეგრძნება, რომ „ცისფერი ტრიოს“, და მესალამური თემური სიყმაშვილის ხელოვნებამ მრავალნახული აუდიტორიის მაღალი შეფასება დაიმსახურა. აქ სათუთად უვლიან. საგანგებოდ შექმნილ მუზეუმს, ეგრეთ წოდებულ „თეატრის მატიანეს“, სადაც სახელოვანი გასტროლიორებისა თუ ბახის ტრადიციულ კონკურსში გამარჯვებულ შემსრულებელთა საკონცერტო აფიშები, სუვენირები და პირადი ნივთებია თავმოყრილი. ამერიდან ამ მუზეუმის ერთ კუთხეში, ორივე მხარის სასიამოვნოდ, ქართულ ჩოხებში გამოწყობილი ჩვენი ანსამბლის აფიშა და ავტოგრაფებიანი ფოტოებიც იქნება წარმოდგენილი.

საქართველოს დღეების ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება ის იყო, რომ იგი დიდი ოქტომბრის რევოლუციის 64-ე წლისთავს დაემთხვა და ჩვენც საგანგებოდ აღვნიშნეთ ზეიმი. ვმონაწილეობდით საბჭოთა საელჩოში 6 ნოემბერს გამართულ დარბაზობაში, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლებისა და პარტიების მრავალი თვალსაჩინო მოღვაწე, ლისაბონში აკრედიტებული დიპლომატების დიდი ჯგუფი დაესწრო, 7 ნოემბერს კი საბჭოთა საელჩოში თავი მოიყარეს პორტუგალიაში არსებული ყველა საბჭოთა ორგანიზაციის მუშაკებმა ოჯახებითურთ და ჩვენც ამ „ოჯახურ ვითარებაში“ აღვნიშნეთ ჩვენი საერთო-სახალხო დღესასწაული. მაგრამ ის, რაც 6 ნოემბერს ლიზაბონში მოხდა, მართლაც საგანგებო აღნიშვნის ღირსია.

პორტუგალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციამ ლისაბონს საზოგადოებრიობა ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის აღსანიშნავად ქალაქის 4-ათასიან საკონცერტო დარაბაზ „კოლიზეუმში“ მოიწვია. თუ გავითვალისწინებთ პორტუგალიის რესპუბლიკაში ამჟამინდელ რთულ საშინაო პოლიტიკურ ვითარებას, ეს გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. ასე თვლიდნენ ჩვენი მასპინძლები და როგორც მათვე აღნიშნეს, რისკმა ადგილი დაუთმო ჩვენი ქვეყნისადმი პორტუგალიელთა დიდ ინტერესს, ხალხთა შორის მეგობრული, მშვიდობიანი ურთიერთობის მისწრაფებას.

ბილეთების სიძვირის მიუხედავად დარბაზში ყველა გასასვლელი შეივსო და ხალხის ტევა არ იყო. საღამო გახსნა პორტუგალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტმა, პორტუს უნივერსიტეტის პატიო რექტორმა, „ხალხთა მეგობრობის“ ორდენოსანმა, პროფესორმა რეი ლუიშ გომეშმა. სიტყვებით

ქართული კულტურის დღეების დიდი წარმატება პორტუგალიის რესპუბლიკაში

დაესწრო, 7 ნოემბერს კი საბჭოთა საელჩოში თავი მოიყარეს პორტუგალიაში არსებული ყველა საბჭოთა ორგანიზაციის მუშაკებმა ოჯახებითურთ და ჩვენც ამ „ოჯახურ ვითარებაში“ აღვნიშნეთ ჩვენი საერთო-სახალხო დღესასწაული. მაგრამ ის, რაც 6 ნოემბერს ლიზაბონში მოხდა, მართლაც საგანგებო აღნიშვნის ღირსია.

პორტუგალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციამ ლისაბონს საზოგადოებრიობა ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის აღსანიშნავად ქალაქის 4-ათასიან საკონცერტო დარაბაზ „კოლიზეუმში“ მოიწვია. თუ გავითვალისწინებთ პორტუგალიის რესპუბლიკაში ამჟამინდელ რთულ საშინაო პოლიტიკურ ვითარებას, ეს გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. ასე თვლიდნენ ჩვენი მასპინძლები და როგორც მათვე აღნიშნეს, რისკმა ადგილი დაუთმო ჩვენი ქვეყნისადმი პორტუგალიელთა დიდ ინტერესს, ხალხთა შორის მეგობრული, მშვიდობიანი ურთიერთობის მისწრაფებას.

ბილეთების სიძვირის მიუხედავად დარბაზში ყველა გასასვლელი შეივსო და ხალხის ტევა არ იყო. საღამო გახსნა პორტუგალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტმა, პორტუს უნივერსიტეტის პატიო რექტორმა, „ხალხთა მეგობრობის“ ორდენოსანმა, პროფესორმა რეი ლუიშ გომეშმა. სიტყვებით

**ჟურნალისტ ...ეს ...ეს ...ეს

„ვერ ვჰპოვე სხვა ქვეყანა ასეთი მშვენიერი და საყვარელი, როგორც საქართველო“!..

თანამედროვეთა გადმოცემით, გრიგოლ ორბელიანი, თუმცა, ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეთა წერილებს „დაუჯდომელი ლოცვანივით“ პერანგზე მიკერებულ ჯიბეში გულით ატარებდაო (ცნობა იუნონა ტელემაქის ასულ გურიელი-დადიანისა).

„ოქსფორდში აღმოჩენილი მარჯორი უორდროპის ქართული წერილები, მართლაც, რომ, გულით სატარებელია.

● ●

მარჯორი უორდროპისა და თვალსაჩინო ქართველი მწერალი ქალის განდეგილის (დომინიკა ერისთავ-მდივნის) მეგობრული უერთიერთობის თაობაზე ჩვენთვის ცნობილია გაზეთ „ივერიაში“ 1895 წლის 19 იანვარს გამოქვეყნებული განდეგილის უსათაურო ლექსი: „ზამთრის სუსხი დგას, მთა-ბარსა თეთრი ზაწარი ჰფენია...“, რომელიც მარჯორის საქართველოში პირველად ჩამოსელას ეძღვნებოდა.

მაგრამ ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის დღემდე სრულიად უცნობია განდეგილის და მარჯორი უორდროპის მიმოწერა, რომელიც ოქსფორდშია დაცული.

განდეგილის წერილებში გადმოცემულია მწერალი ქალის მიერ უცხოელი მეგობრისთვის გამოძღვნებული უფაქიზესი სულიერი განცდები, „ზოგჯერ ღრმა ტრაგიზმამდე მისული სასოწარკვეთილება და გულწრფელი აღსარება, რომელიც ახალი შტრიხებით ავსებს მის შემოქმედებითს პორტრეტს, ხასიათსა და მწერლურ ნიჭიერებას. ამ მხრივ, განდეგილის აღნიშნული წერილები ქართული ეპისტოლარული ლიტერატურის ნამდვილი მშვენებაა. გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს:

„10 ენკენისთვე, 1896 წელი, ტფილისი.

როგორ ხარ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მოწყენილი ხომ არა ხარ?

...ზშირად არის ხოლმე ისეთი შემთხვევა, რომ ადამიანი სრულებით ჯანმრთელად არის, მაგრამ იმავე დროს ავად კი არის. მართალია, ადამიანი უმთავრესად ორი ელემენტისაგან არის შემდგარი — სულიერისა და ხორციელისაგან, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ხორცი სულს სარკად ვერ ხდება. შენი არ ვიცი, და, მე კი, რამდენადაც ჩემს თავს დავკვირვებივარ, გაოცებული ვარ ჩემის ორგვარობით. ბევრჯერ სასოწარკვეთილებამდე მიმიყვანს ხოლმე სულის აღმფოთებელი მდგომარეობა, მაგრამ ჩემს გარეგნობა-სმრთელეს სრულიად არ ეტყობა ესა. ასეთ წამებში ყველაფერი მეზიზღება, მეზიზღება თვით ჩემი საკუთარი თავი, ვგმობ ჩემს გაჩენას, ჩემს სულს, გრძნობას, რომ თავიანთი მწუხარების დალს არ ასმენ ჩემს გარეგნობასა... სულით ვიტანჯები და ხორცით კი კარგად ვარ! როგორ მოგწონს?

რომ მკითხო, რა მტანჯავს, გარკვეულ პასუხს ვერ მოგცემ. ჩემი გონება ვერ შერიგებია იმ უცვალებელ კანონს, რომ ქვეყანა — ეს საუკეთესო გვირგვინი ბუნების ნაწარმოებთა შორის, კაცის ფეხით თელება. მერე, აფასებს ადამიანი ამ დიდებას? — არა, არ აფასებს. რომ აფასებდეს, მაშინ ამდენი სძაგლობაც არ იქნებოდა ქვეყანაზე, ყველა ძმურის კავშირით იქნებოდა შეერთებული. ახლა კი, საითაც გაიხედავ, ყველგან ღალატს, ორპირობას და მოტყუებას ჰხედავ. ცრუობს ყველა და ყველაფერი და ამიტომ თვით ეს და ქვეყანა ცრუობად და არარაობად მიჩვენება... ბედნიერია ის, ვისაც საწრწყინოება შერჩენია. მე კი, ჩემო საყვარელო დო, არასოდეს ადარ დამბრუნდება ჩემი ბედნიერება, ვერავინ ვერ აღმიდგენს ჩემს წარწყმედილს რწმენას და ამიტომაც არის, რომ ავადმყოფი ვარ. ძნელია ასეთი ავადმყოფობა!.. მომწერე შენი ამბავი, რა ჰქენი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ?“.

„1 აგვისტო, 1897 წელი, ტფილისი.

...უპირველ ვზიგართ, ასეა ქართული მწერლობის საქმე, ჩემო ძვირფასო დო და მეგობარო!.. ბევრად უკეთესია, კაცი სადმე ქარხნის მუშათ იყოს, ვიდრე აქ ლიტერატურას შესწიროს თავი. ქარხნის მუშებს არსობითი პური მაინც აქვთ! და ჩვენ კი ამაზედაც ვზრუნავთ, თუმცა მუშაობით ბევრს ვმუშაობთ... დიდის პატივისცემით მოგიკითხე ჩემმა ძმამ ურბნელმა თვისის ცოლით და შიო არაგვისპირელმა. რამდენჯერმე მთხოვა არაგვისპირელმა თქვენთვის მოკითხვა გადმოგეცა...“.

ამის შემდეგ, დაე, თვითონ მკითხველმა განსაჯოს მარჯორი უორდროპის უცნობი ქართული წერილების ხიბლი, რომლებიც საქართველოში რეაქციის მძვინვარე 1907-08 წლებშია გამოგზავნილი განდეგილისა და მილანის საოპერო თეატრის სახელგანთქმული ქართველი მომღერალი ქალის ელენე თარხნიშვილისადმი. მარჯორის ეს წერილები აქ პირველად ქვეყნდება (ოღონდ მოგვყავს მხოლოდ ფრაგმენტები, სტილი დაცულია):

„31 მკათათვე 1907 წ. ბუხარესტი.

საყვარელო მეგობარო განდეგილი!

...რუმინიაში ჩვენ მოვსულვართ ცხრა თვეა, პეტერბურგის ჰაერი ნამეტანი სასტიკი და მავნებელი იყო ჩემი ძმისთვის. როგორ ბრძანდებით? დიდი, დიდი ხანია თქვენი ამბავი აღარ მომდის, თუმცა ხანდახან ვკითხულობ თქვენს ლექსებს გაზეთებში. ბევრი გამოცვლა ყოფილა თქვენს საყვარელ სამშობლოში და ვსტირ საქართველოს უბედურ ო ბ ა ს. ღმერთმან ინებოს და მალე იყოს მშვიდობიანობა და ბედნიერება თქვენ ქვეყანაში!

ჩემი ძმა გმადლობს მრავალჯერ თქვენი ბარათისთვის და უნდა აგრეთვე თქვენი გაცნობა, როგორც სასახელო მწერალ ქართველ ქალისა. სურვილი მაქვს კიდევ გნახამთ ოდესმე. ხშირათ ვლაპარაკობთ საქართველ ო ზ ე, კარგად მახსოვს ის ღამე, როდესაც პირველად გნახეთ საგურამოში: მშვენიერი, მთვარიანი ღამე იყო და ვიყავით ყველანი აივანზე და მე როგორც სანატრელ სიზმარში ვიყავი...

ვნახეთ პატივცემული თავადი ილია და კნეინა ოლგა პეტერბურგში შარშან. დიდათ, დიდათ ვისიამოვნეთ. თუ თფილისში არიან ახლა?

სხვა რა მოგახსენოთ? ბევრს ვჰმოგზაურობთ ამ ათ წელიწადში, მაგრამ ვერ ვჰპოვე სხვა ქვეყანა ასეთ მშვენიერი და ჩემთვის საყვარელი, როგორც საქართველო!“

„2 აპანისა, 1908 წ. ბუხარესტი.

ჩემო ძვირფასო ელენე!

...ნეტა ჩვენც თქვენთან საქართველოში გიახლებოდეთ. თერთმეტი წელიწადია, რაც იქ არ ვყოფილვარ და ხანდახან მეშინიან, რომ არასოდეს არ ვნახავ კიდევ იმ მშვენიერ და ძვირფას ქვეყანას.

ღვინობისთვეში ჩემმა ძმამ და მეც გავატარეთ სამი დღე კონსტანცაში, შავი ზღვის პირზე და ყოველთვის ვუფიქრებდით მისს ზვირთებს იქით საქართველოსკენ. მარტო ზღვა იყო ჩვენს და ამის შუა!

უიმეოლია, ბევრი დამაღონებდა, თუ კვლავ ვიმოგზაურებდით იქ. სიკვდილმა წაგვართვა რამთონი ძვირფასი მეგობარი, რამთონი მშვენიერი სახლ-კარი, სადაც სტუმრათ ვიყავი, დღეს აორხებულია და სადაც უწინ იყო მშვიდობა და სვიანობა, დღეს სუფევს ჩხუბი და შავი დღე. ღმერთმან ჰქმნას და მალე გთენდებოდეს დღე ბედნიერებისა!...

თუ არ გაბერდება და მოცლა გექნებთ, მე დიდი მადლობელი ვიქნებოდი თუ მითხარი, როდესაც მომწერთ, უმთავრესი შეცდომები ჩემს წერილში. მეც ვიცი, რა გლახათ ვჰსწერ ქართულად და ჩემი სურვილია, რომ ყოველთვის უფრო და უფრო კარგათ შევისწავლო ლამი ქართული ენა. აქ, სამწუხაროთ, არ არის ერთი ქართველი... ნეტა თუ მეღირსება თქვენი საყვარელი სახის ნახვა და თქვენ მშვენიერი, მომხიბლავი მღერას სმენა?“.

ან, რამდენი ადამიანური სითბო და სათნოებაა ჩაქსოვილი მარჯორი უორდროპის 1908 წლის 23 იანვრის უცნობ. წერილში ტასო მაჩაბლის დის — ბაბო ბაგრატიონისადმი, რომელიც ქართულ ენაზეა მოწერილი ბუქარესტიდან:

„ჩემო საყვარელო მეგობარო!

...გუშინ ღამით ვნახეთ სიზმარში და თქვენ მწუხარებაში იყავით. ჩვენში ამბობენ, რომ ეს კარგი ნიშანია. ღმერთმან ჰქნას, რომ თქვენი სვიანობის ნიმანი იყოს. მე ვუწოდე სიზმარში სმაღლა ორჯელ — ბაბო! ბაბო! ვინატრი თქვენს მშვიდობას და ბედნიერებას!“

მარჯორი უორდროპის პირად არქივს ოქსფორ დ ში შემოუნახავს აგრეთვე მისი იმ ქართულ წერილთა ასლები ხალი და შავი ცალები, რომელთა თეთრ ეგზემპლარებს დღეს საქართველოს სიძველეთსაცავებში დაუდეკთ ბინა. მაგრამ ამ ასლებს თუ შავ ჩანაწერებს საბოლოოდ გადათეთრებულ დედნებთან შედარებით მაინც ბევრი ძვირფასი განსხვავებული სტრიქონი მოეპოვება, ხოლო ზოგიერთმა კი გადაგვირჩინა ყამთა ვითარებაში ადრესატის მიერ უკვე სამუდამოდ დაკარგული წერილის ტექსტი.

მათ შორის, აღმოჩნდა მარჯორის უცნობი ქართული წერილები ოლოა ჭავჭავაძის, პროფ. ალ. ცაგარლის, ნიკო ავალიშვილისა და სამსონ ფირცხალავასადმი. მეტად საინტერესოა აგრეთვე გამოჩენილი ქართველი მუსიკოსის ფილიმონ ქორიძისა და მარჯორი უორდროპის უცნობი მიმოწერა, რომელიც ოქსფორდშია დაცული.

ფილიმონ ქორიძეს, როგორც ეს მისი 1896 წლის 31 იანვრის წერილიდან ირკვევა, ოლიეერისა და მარჯორისათვის გაუგზავნია ილია ჭავჭავაძის ახლო თანამშრომლის, ცნობილი მესტამბისა და მწიგნობრის მაქსიმე შარაძის მიერ გამოცემული თავისი „ქართული გალობა“ და თან ასეთი ბარათიც მიუწერია ოლიეერ უორდროპისთვის:

„სურვილისამებრ თქვენ ი ს ა გამოგიგზავნეთ ორი წიგნი, ერთი თქვენთვის და მეორე თქვენი დისათვის, ახლად დაბეჭდილი წირვის გალობა... თუმცაღა ამჟამად თქვენ გწერსთ იმ წიგნების ავტორი, რომელსაც თქვენ არ იცნობთ, მაგრამ თუ მოიგონებთ ოზურგეთში ყოფნას, როდესაც სადილის შემდეგ საზოგადოებას ემშვიდობებოდით, მე მაშინ გზა დაგიღოცეთ იტალიანურად... ჩემი ადრესია: ტფილისი, ნიკოლოზის ქ. № 21, მაქსიმე შარაძის სტამბა, გადასაცემად ფ. ქორიძეს“.

მარჯორი უორდროპის სამადლობელი ბარათი, რომელიც ქართულად დაწერილი 1896 წლის 14 თებერვალს, მეტად საინტერესოა ქართულ მუსიკაზე მისი შეხედულების წარმოსადგენად (სტილი დაცულია):



„დიდათ გმადლობთ ქართული გალობისთვის. წიგნი ღირსია დიდი ქებისა — ქალაღდისათვის, დაბეჭდვისათვის და საზოგადოდ, მზრუნველობისთვის. როდესაც მთელი თხზულება გათავებული იქნება, უთუოდ სამუზიკო ერი ევროპაში დიდათ შეგულიანდება.

თუ წინასიტყვაობა იტალიანურად გეწეროთ და აჩვენთ განთვისებულება და ისტორია მუზიკასი საქართველოში, ძალიან საყურადღებო იქნება. შეიძლება შემდეგ პარტიტურაში ამა დაიბეჭდეთ. კვლავ კარგი იქნება იტალიანურადაც სახელი წიგნისა და პატარა ლექსიკონი ბოლოში სიტყვების სამუზიკო ქართულად და იტალიანურადაც დაურთოთ.

ჩვენთვის საინტერესო იქნება ნახვა, როგორც იწერება განთვისებული გურული სიმღერა.

არ უნდა გეშინოდეთ, რომ ჩვენ დაგიგიწყებდეთ — არც თქვენ, არც სიამოვნებას, მიღებულს თქვენი სიმღერიდგან, არც მშვენიერ ნადიმობას ოზურგეთში“....

აქ მოხსენებული „ოზურგეთის მშვენიერი ნადიმი“ მარჯორი უორდროპს აღწერილი აქვს 1895 წლის ზამთარში გურიაში მოგზაურობის დღიურშიც: „...სუფსიდან ოზურგეთისაკენ, გურიის დედაქალაქისაკენ გავეშურეთ. ქალაქი პატარაა. ძლივს აღემატება დიდ სოფელს. მისი მკვიდრნი დიდ ინტერესს იჩენენ ლიტერატურისადმი, აქვთ თავიანთი სტამბა და მრავალ საყურადღებო წიგნს აქვეყნებენ... ოზურგეთიდან წავედით შემოქმედის მონასტერში, რომელიც ბეჟუის პირას მდებარეობს და, სხვა ძველ მონასტერთა მსგავსად, წინათ გამაგრებული ციხე-სიმაგრე ყოფილა... ოზურგეთიდან გამგზავრებისას ქალაქმა გამოსამშვიდობებელი ნადიმი გაგვიმართა კლუბში და მე არასოდეს დამავიწყდება ამ კეთილი გურულების ენთუზიაზმი და საუკეთესო სურვილები. ყველანი გვეპატიჟებოდნენ, უამრავი ოჯახი გვიწვევდა. ნადიმი ორ საათს გაგრძელდა და მხოლოდ იმის გამო წამოვშალეთ, რომ ბათუმში მიმავალ მატარებელს უნდა გავყოლოდით. გამომშვიდობებისას კეთილი მგზავრობა გვესურვეს... ბოლოს, თავმოყრილ სტუმართა შეძახილებით დავტოვეთ ოზურგეთი და გზას გავუდექით“ (ლ. თაქთაქაშვილი-ურუშაძე, მარჯორი უორდროპი, 1965, გვ. 47).

გაზეთ „ივერიაში“ 1895 წლის 2 თებერვალს გამოქვეყნებული ქ. თავართქილაძის ოზურგეთიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია ავსებს მარჯორის დღიურის ზეპომოყვანილ ადგილს: „25 იანვარს ოზურგეთში გვეწვივნენ ინგლისელი სტუმრები და-ძმა ვარდროპნი. 26 იანვარს დაათვალიერეს შემოქმედის მონასტერი, მისი ძვირფასი დიდი სიმდიდრე და ხელოვნება, ხოლო დღეს, 27 იანვარს შემოვიდნენ ჩვენს ზეგნის მაღაზიაში და წიგნთ-საკავში, საიანაც ათი-თორმეტი მანეთის წიგნები წაიღეს, რომელიც თბილისში ვერ ეშოვნათ... მართალი გითხრათ, ჩემს სიხარულს და აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როდესაც მშვენიერის ქართულს კოლოთი მითხრეს: „ახალ სენაკში და ოზურგეთში დაბეჭდილი წიგნები, რაც გაქვთ, მოიტანეთო“... აბა, ამ დროს მოდი და ნუ მოხვალ აღტაცებაში, როდესაც იმ შესანიშნავ და ჩვენზედ დიდად დაშორებულ სახელმწიფოთგან, სადაც ხსენება ქართველის არ არის, მოდის ადამიანი, რომელმაც თავისით შეისწავლა მშვენიერი ქართული ენა და გულაბარაკება ჩინებულის ქართულის ენით; „ახალ სენაკის და ოზურგეთის სტამბების გამოცემა მომაწოდეთო“... დღესვე იყო ოზურგეთის საზოგადოებისგან სამოქალაქო კლუბში გამართული სადილი ჩვენის ეშვიათის სტუმრების პატივსაცემად, სადაც 80-ზედ მეტი კაცი და ქალი დაესწრო და სადღეგრძელოზედ ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა“.

ის კი არა, მარჯორის გურიაში სტუმრობის მომსწრე ტელემაქ გურიელის ასულ იუნონას პატუნა წერეთლისადმი გამოგზავნილი წერილებით, და როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მიღებული, თითქოს დიდი აკაკის მოწმობითაც, ირკვევა, რომ მარჯორი თურმე გურულ კილოზე უტაცია: „ამას წინათ ერთი ახალგაზრდა, ცქრიალა ინგლისელი გამაცნეს, რომელიც კარგათ ლაპარაკობდა ქართულათ, მხოლოდ გურულათ კი უქცევდა კილოს, მე, რასაკვირველია, ის ჩვენში დაბადებული და აქვე გაზრდილი მეგონა, მაგრამ გამოდგა, რომ სტუმრათ ყოფილა მოსული... და მას აქეო, რაც მოსულა, ორი წელიწადის მეტი არ გასულა. გამიკვირდა და ვკითხე: ქართული ასე ჩქარა როგორ შეისწავლეთ-მეთქი? საცალით მიპასუხა: „თუკი მოინდომა, ორი წლის განმავლობაში კაცმა რომ ენა ვერ ისწავლოს, ა ბ დ ა ლ ი უნდა იყოსო“ (აკაკი წერეთელი, საუბარი ინგლისელ ქალთან, იხ. თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII, თბ. 1961 გვ. 377).

ისტორიკოსმა ქეული ჩხეტარაშვილმა მომაწოდა ცნობა „სახალხო გაზეთის“ 1910 წლის 1 ივლისის № 45-ში გამოქვეყნებულ ფრიად საყურადღებო წერილზე „მცირე მოგზაურობა გურიაში“, რომლის ავტორი ტრ. ი-ძე (ტრიფონ ინასარიძე) მოგვითხრობს: „დავათვალიერეთ დიდებ უ ლ ი შემოქმედის მონასტერი, რომელიც ისეთ საუცხოო ადგილს არის აშენებული, რომ თვით ინგლისის შვილს — ჩვენი ქვეყნის მოტრფიალე მარჯორი უორდროპს ანატრა აქ სიკვდილი და ანდერძიც დასტოვა, დაემარხათ მის გალავანში, მაგრამ არ აუსრულეს ანდერძი და ბუოუსიან ინგლისის მიწას მიაბარეს“.

გურამ შარაძე.

(გაგრძელება იქნება)

● ●

სურათებზე: ზემოთ — ანდრო უორდროპი და გურამ შარაძე უორდროპების საფლავთან სვენოქსში; ქვემოთ — უორდროპების საფლავი სვენოქსში.

რედაქციისაგან:

თუმცა პროფესორ გ. შარაძის პუბლიკაცია დამთავრებული არ არის, მან უკვე გამოიწვია მკითხველთა და სპეციალისტთა ცხოველი ინტერესი.

რედაქციამ ბევრი წერილი მიიღო, რომელთა მიმოხილვასაც მოკლე ხანში ვაპირებთ.

თავიანთი მოსაზრებების გარდა, ამ წერილებში მკითხველები აგრეთვე გვთხოვენ (ბევრი ტელეფონთითაც გვირეკავს), რომ საურველია დაჩქარდეს დარჩენილი თავების გამოქვეყნება.

რედაქცია ითვალისწინებს მკითხველთა თხოვნას და უახლოეს ნომრებში დაამთავრებს „ბედნიერების და სათნოების საუნჯის“ ბეჭდვას.

ᲨᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

ᲑᲔᲕᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ

სიცრუე ისე ბევრია —
ზღვაა,
ტყეა და
წვიმა,
ზოგჯერ დიდ ამბავს დაჰყვება,
ზოგჯერ — სრულიად ნვრილმანს.
ხოლო სიმართლე ერთია, ერთადერთი და კენტი...
როგორ მივაგნო ის ერთი:
ტალღა...
ფოთოლი...
ნვეთი...

● ●

ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲘ

ზის სავარძელში იუბილარი,
ზის ბედნიერი, სახემღიმარი.
ტანად მომცროა თუ მაღალია,
მჯდომარე კაცზე ვერავინ იტყვის;
ბევრი კი აქეს, რაც მართალია,
ოლიმპიელად შერაცხეს თითქმის.

იუბილარო, არსთა განმრიგემ
თუმცა შეგამკო დაფნის ფოთლებით,
სიმაღლეს შენსას მაშინ გავიგებთ,
მაგ სავარძლიდან რომ წამოდგები.

● ●

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔ ᲓᲐ ᲡᲞᲘᲚᲝ

ივანე მრისხანეს ბრძანებით ჩამოახრჩვეს სპილო, რომელმაც მეფის წინაშე მუხლის მოდრეკა არ ისურვა.

I.

— იცით, მეფეებს ვინ აჰყავდათ სახრჩობელაზე? —
— ჯაპუშ-მსტოვრები...
შეთქმულები...
ავაზაკები!...

— და კიდევ, კიდევ?
— ტახტის მტრები...
მოქიშპეები...
ღმერთი და რჯული! არ ყოფილა სპილო მსტოვარი,
არც მეფის ტახტზე უოცნებია!

. . . . . .

ზმუის ბუკი და
ჰაერს ფხრიწავს დოლის ბრახუნი,
ნაჯახ-შუბოსნებს დილეგიდან გამოჰყავთ სპილო,
კუდზე,
ხორთუმზე
ფირფიტები უკონნიალებს:
„მეფის წინაშე არ ისურვა მუხლის მოდრეკა!“

ბრბო უკან იხევს და მუხლს იყრის სპილოს მაგიერ,
სპილო კი მოდის,
გულუბრყვილო, კეთილი სპილო,
მთლად გაბადრული უნყინარი სათნო ღიმილით.
იცოდა განა, რას ითხოვდა მრისხანე მეფე?
რა იცის სპილომ, რაა დასჯა ან სახრჩობელა?
თავი ჰგონია რელიგიურ დღესასწაულზე
და ისე მდორედ,
ისე ზანტად მოიხლაზნება,
როგორც შორეულ ინდოეთის ცხელი მირაჟი.

(ერთხელაც როსმე სწორედ ასე ჩაატარებენ
თითონ პუგაჩოვ ემელიანს და სტენკა რაზინს —
დიდი რუსეთის თავისუფალ და ამაყ შვილებს)...
ისეთი რა ხე გამონახეს ანდა რა ძელი,
ან რა თოკისგან,
რა ჯაჭვისგან განასკვეს ყულფი?
ამხელა გიგანტს რომ გაუძლო...
უცებ სპა დაფრთხა...
სპილო ღმუილით დაყირავდა წინა მუხლებზე.
თვალებს კარკლავდა, ცახცახებდა და ყრუდ ქშუოდა,
როგორც ვეება ტროპიკული ნვიმის ღრუბელი...
თურმე თაგუნა ყაზარმიდან გამომხტარიყო...
თურმე თაგუნა მესერიდან გამომძვრალიყო...
დაფეთებული ახტა-დახტა მხდალი ნრუწუნა
და ბოიართა სახეებზე,
ბერთა ნვერებზე
მფრთხალ ლიმილად გადაირბინა...
„თაგვმა დააფრთხო, მე კი მეფეს, არ შემეპუა“...
ცოფს ყრის ჩარდახში ბალიშებზე მჯდომარე მეფე.

მზეზე ბზინავდა გასანათლული ვეება ყულფი...
ყულფმა კისერი ნაიგრძელა
და უხმაუროდ
გადმოაფურთხა ვეება ჩრდილი...

II.

ბევრჯერ უნახავს (თუნდაც ცირკში) კვერთხოსან მონარქს,—
მავანი ნკეპლით მხეცებს როგორ იხდიდა მონად.
ო, კვერთხოსანო, აქ დიდ სიბრძნეს არ უნდა ძებნა,
სადაც სამეფო კვერთხი არ ჭრის,
იქ გაჭრის ნკეპლა!
ზოგჯერ ბრძანებას,
მუშტის ქნევას
სჯობს ისევ ხვენნა,
ნუგბარ-წრუპუნი ანუ შოლტში ყვავილის შენვნა.

ზოგჯერ ხერხი სჯობს...
ანუ ზოგჯერ ნკეპლა სჯობს კომბალს,
წაუთათუნებ გინდა ლომს და
გინდ სპილოს... ჰოპლა!
რის მუხლის მოყრა, გადადიან კიდეც მალაყებს...
კომბალზე უფრო ბევრს, იცოდე, ნკეპლა ალაყებს.
იმ დღესაც ნკეპლა რომ გჭერდათ კვერთხის მაგიერ,
არც შვილის მკვლელი გერქმეოდათ, მეფევ, ამიერ.
მაშინ რეპინიც ვერ შექმნიდა იმ გრძნეულ შედევრს...
მაგრამ რა სჯობდა,
ან რად სჯობდა,
დრო ამბობს შემდეგ...
დიდო მეფეო, ნუ ჩამითვლით, გთხოვთ ოხუნჯობად:
თქვენ ძელზე სპილო დაჰკიდეთ თუ ხალხის ურჩობა?
ახლა იმ ყულფის რადიუსი ისე გაზრდილა,
ერთად მონურავს ყველა დროის ტირანთა კისრებს...

. . . . . .

არც სისასტიკით,
არც ცოდვებით,
არც სიმძიმილით
არ ნახდენია, არ შეცვლია ნირი ივანეს...

III.

სპილოს კი შვენის ბუდას ღიმილი
და დიდი ყურებით მიტოპავს ნირვანას...

კომუნისტი

საკითხავი საკითხებზე

ᲔᲡ ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ქართული მუსიკალური საკრავი ოდითგანვე ადამიანის გუნება-განწყობილების თავისებური გამომხატველი, ჭირისა და ლხინის თანმხლები იყო.

ბევრი მუსიკის მოყვარული შეიკრიბა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კლუბში გამართულ საღამოზე, რათა მოესმინათ დუდუკის დაკვრა. საღამო მოაწყვეს ხელოვნების მუშაკთა სახლმა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ინსტიტუტის პირველადმა ორგანიზაციამ. ამ

ᲓᲣᲓᲣᲙᲘᲡ ᲰᲐᲜᲒᲔᲑᲘ

სასულე საკრავის ისტორიაზე ილუსტრაციას საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექტორმა, რესპუბლიკის კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა ი. კალანაძემ.

ძველი ქართული ხალხური სიმღერები, თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები შეასრულეს მედუდუკეთა ანსამბლებმა მრრომელთა თვითმოქმედი შემოქმედების საკავშირო ფესტივალის ლაურეატების გ. გაგლოშვილის, ო. კასიანის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ი. მეტრეველის, ლ. ამირხანიანის ხელმძღვანელობით. აგრეთვე საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების კასპის რაიონული განყოფილების ანსამბლმა და სხვებმა.

მთელი რიგი ქართული სიმღერები ჩონგურზე საუცხოოდ შეასრულა სახალხო მთქმელმა ლ. გორბაშვილმა. წარმატება წილად ხვდა საოჯახო ტრიოსაც ზ. ედიშერაშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც სალამურსა და ფანდურზე შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები.

● ●

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐᲛ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲐ

ᲝᲚᲚᲐ შირინამ, ალექსი გორბუჩენკომ, სვეტლანა ოუკეკიჩმა, ვალერიან მჭედლიშვილმა — მოსკოვის მორის ტორეზის სახელობის, მოსკოვის და თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტების მეოთხე კურსის სტუდენტებმა გაიმარჯვეს საკავშირო ოლიმპიადაში — „სტუდენტი და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“, რომელიც თბილისში გაიმართა და მიეძღვნა სკკპ XXVI ყრილობას. ქალიშვილები და ჭაბუკები სამი დღის განმავლობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მათ მიერ შესასწავლად არჩეული გერმანული ენის ცოდნაში.

— ყოველგვარი შემოხვევითობა სტუდენტთა ცოდნის შემოწმებაში გამორიცხული იყო თვით შეჯიბრების პირობებით, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორმა სამეცნიერო საწილში პროფესორმა შ. შაბურიშვილმა. — მომავალ სპეციალისტებს შესაძლებლობა მიეცათ ეთარგმნათ ტექსტი და სინქრონულად — სასუბრო მეტყველება, გერმანულ ენაზე განმარტათ ეკრანზე მიმდინარე მოვლენები, დაესრულებინათ დაუმთავრებელი მოთხრობა. ვერმანული ენის კარგი ცოდნა გამოამჟღავნა ჩვენი ინსტიტუტის ბევრმა სტუდენტმა, კერძოდ, ნანა მელაძემ და სვეტლანა ზმეიკოვამ. თბილისში კი შეიკრიბნენ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი — ქვეყნის პრაქტიკულად ყველა უცხო ენათა ინსტიტუტის წარმომადგენლები. თბილისში ჩამოსვლამდე მათ გაიმარჯვეს უმაღლესი სასწავლებლების, საოლქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებში.

თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი შემთხვევითი როდი აირჩიეს ოლიმპიადის მოწყობის ადგილად. სპეციალისტთა შორის ფართო პოპულარობა და მოწონება დაიმსახურა ენის სწავლების მეთოდიკამ, რომელსაც ამ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები იყენებენ. (საქინფორმი).

ᲞᲐᲞᲘᲠᲘ

ᲠᲐᲛᲐᲖ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ ᲧᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲔᲮᲒᲣᲠᲗᲔᲚᲘᲐ



1981 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲠᲗᲔᲚᲐᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲘ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ. ᲔᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲠᲔᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲨᲔᲛᲯᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲠᲔᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲐᲬᲧᲝᲗ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲙᲛᲠᲘᲡᲯᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲛᲐ „ᲨᲣᲥᲒᲠᲔᲡ-ᲭᲘᲚᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲡ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲠᲘᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲘ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ